განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე
„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:
არალეგალურ მიგრაციულ ნაკადებთან და მასთან დაკავშირებულ დანაშაულთან ბრძოლის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) მიერ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის თანახმად ცვლილება შედის, მათ შორის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში.

გასათვალისწინებელია, რომ ბოლო სამი წლის მონაცემებით (2022 წლიდან 2024 წლის ჩათვლით) გაზრდილია უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების სტატისტიკა.[1] აღნიშნული მიუთითებს ქვეყანაში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების გაზრდილ რაოდენობაზე, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სახელმწიფო, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან/და მართლწესრიგს. სწორედ ამიტომ, აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი პირების გამოვლენისა და გაძევების ქმედითი მექანიზმები, რათა თავიდან იქნეს აცილებული უკანონო მიგრაციასთან დაკავშირებული საფრთხეები.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი პირების გამოვლენის და გაძევების პროცედურების განვითარების და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, ამ მიმართულებით გარკვეული საკითხები კვლავ პრობლემურია. აუცილებელია უცხოელის გაძევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასა და მის აღსრულებასთან დაკავშირებით ცალკეული პროცედურების დახვეწა და პრაქტიკაში გამოვლენილი რიგი პრობლემების აღმოფხვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლებით ან საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადების კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურით ბოროტად სარგებლობა.

ხაზგასასმელია, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის №810 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს 2021 – 2030 წლების მიგრაციის სტრატეგია, რომლის თანახმად, არალეგალური მიგრაციისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისა და სასაზღვრო უსაფრთხოების დაცვის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა გაძევების მექანიზმების შემდგომი განვითარება.

---

[1] 2022 წელს აღსრულდა საქართველოდან გაძევების შესახებ გამოტანილი 165 გადაწყვეტილება, 2023 წელს – 190, 2024 წელს – 363. სტატისტიკური ინფორმაცია წლების მიხედვით ხელმისაწვოდმია: https://info.police.ge/page?id=258.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე (იხ. განმარტებითი ბარათის „დ.გ“ ქვეპუნქტი) სამინისტროს მიერ მომზადდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:
ვინაიდან უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები და მოვალეობები, ასევე, საქართველოში მყოფ უცხოელთა საქართველოდან გაძევების ფორმები და პროცედურები განისაზღვრება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით, გაძევების პროცედურის დახვეწის უზრუნველსაყოფად აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილება შევიდეს დასახელებულ კანონში.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:
წარმოდგენილი კანონის პროექტის მიღების შედეგად დაიხვეწება საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა გაძევებასთან დაკავშირებული საკითხები და მოხდება საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:
უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის მიზნით წარმოდგენილი კანონის პროექტით ახლებურად რეგულირდება ცალკეული საკითხები, მათ შორის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონს (შემდგომ – კანონი) ემატება ახალი, 57[1] მუხლი, რომლითაც უცხოელის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში განისაზღვრება სასჯელის ახალი სახე – საქართველოდან გაძევება და განსაზღვრული ვადით საქართველოში შემოსვლის აკრძალვა. აღნიშნული სასჯელი აღსრულდება:
ა) თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისთანავე ან ნებისმიერი სხვა საფუძვლით გათავისუფლებისთანავე, თუ იგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელს იხდის საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებაში;
ბ) სასჯელის მოხდამდე, თუ მას დანიშნული აქვს არასაპატიმრო სასჯელი;
გ) გამოსაცდელი ვადის გასვლამდე, თუ მას სასამართლოს მიერ დანიშნული აქვს პირობითი მსჯავრი.

დასახელებული სასჯელის აღსრულებას უზრუნველყოფს სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო, რა მიზნითაც გადაწყვეტილების მიმღები სასამართლო, განაჩენის აღსრულების შესახებ განკარგულებას სასამართლოს განაჩენის ასლთან ერთად გაუგზავნის სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. საქართველოდან გაძევების აღსრულების მიზნით, შესაძლებელი იქნება უცხოელის დროებითი მოთავსების იზოლატორში ან დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსება. ამასთან, სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო უცხოელის გაძევების აღსრულების უზრუნველსაყოფად შესაბამის პროცედურებს იწყებს სასჯელის მოხდამდე ან ნებისმიერი სხვა საფუძვლით გათავისუფლებამდე 3

თვით ადრე. თუ უცხოელის გათავისუფლებასთან დაკავშირებით წინასწარი ინფორმაცია არ არსებობს, სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო უცხოელის გაძევების აღსრულების უზრუნველსაყოფად შესაბამის პროცედურებს დაიწყებს პენიტენციური დაწესებულებიდან შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ, დაუყოვნებლივ.

წარმოდგენილი კანონის პროექტით, უცხოელს განესაზღვრება სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოსთან თანამშრომლობის ვალდებულება და კანონს ემატება 51[1] მუხლი. დასახელებული ცვლილების თანახმად, გაძევების საკითხის განხილვისას, გაძევების შესახებ გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადის პერიოდში ან/და გაძევების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებისას, უცხოელი ვალდებული იქნება ითანამშრომლოს სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოსთან, მათ შორის, მიაწოდოს ზეპირი ან/და წერილობითი ინფორმაცია და ახსნა-განმარტება; წარადგინოს მის ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება, დოკუმენტი და სხვა ინფორმაცია, რომელიც ეხება გაძევებასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებას; გადაიღოს ფოტო, აიღოს ხელის თითის და ხელის გულის ანაბეჭდები და სხვა. ზემოაღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში უცხოელს შეიძლება არ მიეცეს საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადა ან განესაზღვროს 7 დღეზე ნაკლები ვადა. ასევე, შესაძლოა გაძევების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქართველოს ნებაყოფლობითი დატოვების ვადა შემცირდეს ან/და ამ ვადის გასვლამდე აღსრულდეს გაძევების შესახებ გადაწყვეტილება ან/და განხორციელდეს უცხოელის დაკავება ან/და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსება. შესაბამისი ცვლილებები შედის კანონის 54-ე და 64-ე მუხლებში.

წარმოდგენილი კანონის პროექტით, კანონს ემატება ახალი, 53[1] მუხლი და განისაზღვრება, საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელის ფოტოგადაღება, ხელის თითის და ხელისგულის ანაბეჭდის აღება. ცვლილების თანახმად, გაძევების საკითხის განხილვის ადმინისტრაციული წარმოებისას, სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო იღებს უცხოელის ფოტოს, ხელის თითისა და ხელისგულის ანაბეჭდებს, რაც შეინახება სამინისტროს მონაცემთა ბაზაში, ხოლო მიღებული მონაცემები დამუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. 14 წლამდე ასაკის უცხოელის ფოტოს გადაღება, ასევე, ხელის თითისა და ხელისგულის ანაბეჭდების აღება დასაშვები იქნება, იმ შემთხვევაში თუ პირის იდენტიფიცირება ან ვინაობის გადამოწმება სხვაგვარად შეუძლებელი იქნება, რა დროსაც მხედველობაში მიიღება აღნიშნული პირის უფლებები და საუკეთესო ინტერესები. პროექტის თანახმად, უცხოელის მიერ, ფოტოგადაღების, ხელის თითისა და ხელისგულის ანაბეჭდის აღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების აღება შესაძლოა განხორციელდეს იძულების პროპორციული ღონისძიებების გამოყენებით. ფოტოგადაღების, ხელის თითისა და ხელისგულის ანაბეჭდების აღებისა და ამ პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

წარმოდგენილი კანონის პროექტით ახლებურად რეგულირდება უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების საკითხი. ცვლილების თანახმად, უცხოელის საქართველოდან გაძევების საკითხის განხილვისას, უცხოელის მოთხოვნის შემთხვევაში, განესაზღვრება საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების

გონივრული ვადა, ინდივიდუალური საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. ამასთან, აღნიშნული გონივრული ვადა შესაძლოა განისაზღვროს 7-დან 30 კალენდარულ დღემდე (ნაცვლად 10-დან 30 კალენდარულ დღემდე ვადისა).

წარმოდგენილი კანონის პროექტით, კანონს ემატება ახალი, 54[1] მუხლი, რომლითაც რეგულირდება უცხოელის მიმალვის რისკი. კერძოდ, უცხოელის ქვეყნიდან გაძევების საკითხის განხილვისას, ასევე, გაძევების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შეფასდება უცხოელის მიმალვის რისკი. უცხოელის მიმალვის რისკი არსებობს იმ შემთხვევაში, თუ უცხოელს საქართველოს ნებაყოფლობითი დატოვების ვადაში არ დაუტოვებია საქართველო; საქართველოში ყოფნის ან საქართველოში ყოფნის ვადის გაგრძელების სამართლებრივი საფუძვლის, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების, საერთაშორისო დაცვის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოთხოვნისას უცხოელმა წარადგინა ყალბი დოკუმენტები ან ინფორმაცია; არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ უცხოელმა გაანადგურა ან დამალა სამგზავრო დოკუმენტი; არსებობს დასაბუთებული ეჭვი უცხოელის ნამდვილი ვინაობის ან მოქალაქეობის შესახებ და ა.შ.

წარმოდგენილი კანონის პროექტით უცხოელისთვის საქართველოში დროებითი ყოფნის უფლების მიცემის სამართლებრივ საფუძვლებს ემატება ახალი საფუძვლები, კერძოდ: უცხოელს საქართველოში დროებითი ყოფნის უფლება მიეცემა იმ შემთხვევაშიც, თუ უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი არ შეიძლება საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ იქნეს დაბრუნებული ან გაძევებული იმ ქვეყანაში, სადაც მას წამების ან არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სერიოზული ზიანის საფრთხე შეექმნება, ასევე, იმ შემთხვევაშიც, თუ სახეზეა ამ კანონის 61-ე მუხლით გათვალისწინებული საქართველოდან გაძევების დაუშვებლობის საფუძვლები. გარდა აღნიშნულისა, მოცემული ცვლილებით სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს განესაზღვრება ვალდებულება, 6 თვეში ერთხელ შეამოწმოს სახეზეა თუ არა თუ არა უცხოელის საქართველოში დროებითი ყოფნის საფუძვლები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ უცხოელის საქართველოში დროებითი ყოფნის უფლებით სარგებლობის პერიოდში აღმოიფხვრა საქართველოდან გაძევების დამაბრკოლებელი გარემოებები, უცხოელს გაუუქმდება საქართველოში დროებითი ყოფნის უფლება და მის მიმართ დაიწყება გაძევების შესაბამისი პროცედურები. აღნიშნულის შესაბამისად წარმოდგენილი კანონის პროექტით ცვლილება შედის კანონის მე-60 მუხლში.

წარმოდგენილი კანონის პროექტით იხვეწება უცხოელის გაძევებასთან დაკავშირებით ცალკეული პროცედურული საკითხები, მათ შორის, სიახლეს წარმოადგენს, რომ სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გაძევების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრება არ წარმოშობს უცხოელისთვის ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის ან ამ კანონით გათვალისწინებული საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადების საფუძველს. გარდა აღნიშნულისა, ასევე განისაზღვრება, რომ უცხოელის საქართველოდან გაძევებასთან, საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადის შემცირებასთან ან/და გაძევების თაობაზე სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების ან სასამართლოს მიერ მიღებული ბრძანების დაუყოვნებლივ აღსრულებასთან, უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებასთან, დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების

ალტერნატიული ზომის გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლო დავის ფარგლებში, უცხოელის მიერ სარჩელის/სააპელაციო საჩივრის გამოხმობის, აღნიშნულ საკითხზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გასაჩივრების ან/და სარჩელით სასამართლოსათვის ხელახლა მიმართვის შემთხვევაში არ შეფერხდება სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაძევების საკითხის შესწავლა ან/და გაძევების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება. აღნიშნული მიზნით ცვლილება შედის კანონის ცალკეულ ნორმებში.

ამასთან, წარმოდგენილი კანონის პროექტით განისაზღვრება უცხოელთან კომუნიკაციის და მისთვის სამინისტროს გადაწყვეტილების ჩაბარების წესი. საგულისხმოა, რომ უცხოელთან კომუნიკაცია განხორციელდება შესაბამისი შეტყობინების სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებით. სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ ამ კანონის საფუძველზე მიღებული ნებისმიერი შეტყობინება ან/და გადაწყვეტილება ჩაბარებულად მიიჩნევა ამ გადაწყვეტილების ვებგვერდზე განთავსების დღის მომდევნო დღიდან. უცხოელს მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით გაეგზავნება ინფორმაცია აღნიშნული გადაწყვეტილების ვებგვერდზე განთავსების შესახებ. ამასთან, უცხოელს დაეკისრება რიგი ვალდებულებები: შეინახოს მისთვის გადაცემული მომხმარებლის სახელი და დაშვების კოდი, ხოლო მომხმარებლის სახელისა და დაშვების კოდის დაკარგვის ან ვებგვერდზე შესვლის შეუძლებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიმართოს სამინისტროს მომხმარებლის სახელის ან/და დაშვების კოდის აღდგენის მიზნით; ასევე, შეტყობინების ან გადაწყვეტილების ვებგვერდზე განთავსების შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღების შემდეგ, მომხმარებლის სახელისა და დაშვების კოდის გამოყენებით, გაეცნოს შეტყობინებას ან/და გადაწყვეტილებას. იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი იმყოფება დროებითი განთავსების ცენტრში, მას შეტყობინება ან/და გადაწყვეტილება ჩაბარდება ხელზე, რასაც უცხოელი დაადასტურებს ხელმოწერით, ხოლო ჩაბარებაზე უარის თქმის შემთხვევაში შეტყობინება ან/და გადაწყვეტილება ჩაბარებულად ჩაითვლება.

გარდა ამისა, გაძევების საკითხის შესწავლის პერიოდში უცხოელის მიერ საქართველოს დატოვების შემთხვევაში, ამ კანონის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილება (უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე; უცხოელის საქართველოდან გაძევებაზე უარის თქმის თაობაზე ან უცხოელის საქართველოდან გაძევების გადავადების თაობაზე გადაწყვეტილება) ვებგვერდზე განთავსებასთან ერთად, უცხოელს გაეგზავნება მის მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ვებგვერდზე განთავსებიდან მე-15 დღეს. ზემოაღნიშნული შეტყობინებისა და გადაწყვეტილების სამინისტროს შესაბამის ვებგვერდზე განთავსების წესს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

წარმოდგენილი პროექტით, უცხოელს მის მიმართ სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ასევე შეტყობინება ან ინფორმაცია სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ განემარტება მისთვის გასაგებ ენაზე, ან იმ ენაზე, რომელიც შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს, რომ უცხოელს ესმის. შესაბამისად იცვლება კანონის ცალკეული ნორმები. გარდა ამისა, კანონში შედის რიგი ტერმინოლოგიური და ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, მათ შორის, უმეთვალყურეოდ მყოფი პირის ნაცვლად მიეთითება თანმხლები პირის გარეშე მყოფი პირი.

წარმოდგენილი კანონის პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა 2025 წლის 1 სექტემბრამდე უნდა უზრუნველყოს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა და სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა, გამომდინარე აქედან, პროექტის მე-3 მუხლით კანონის ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2025 წლის 1 სექტემბერი.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

„მხოლოდ მშვიდობით ღირსებით კეთილდღეობით ევროპისკენ" სამთავრობო პროგრამით (1.2. ქვეპუნქტი) გათვალისწინებულია, რომ უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული გამოწვევების საპასუხოდ, გაძლიერდება მიგრაციული ნაკადების მართვა და რეადმისიის ხელშეკრულების აღსრულება. მიგრაციული პროცესების უკეთ მართვისა და, განსაკუთრებით, იმ პირთა მიმართ რეგულაციების გამკაცრების მიზნით, რომლებიც ბოროტად სარგებლობენ საქართველოში არსებული თავშესაფრის სისტემით, იგეგმება სათანადო ღონისძიებების გატარება.[2]

აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი კანონის პროექტი შესაბამისობაშია სამთავრობო პროგრამასთან.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

წარმოდგენილი კანონის პროექტის მე-3 მუხლით კანონის ამოქმედების თარიღად განისაზღვრა 2025 წლის 1 სექტემბერი, რადგან წარმოდგენილი კანონის პროექტით გათვალისწინებული რეგულაციების აღსრულების მიზნით აუცილებელია ცალკეული სამართლებრივი აქტების მიღება, რისთვისაც საჭიროა გარკვეული პერიოდი. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

წარმოდგენილი კანონის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი)

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებით გამოწვეული აუცილებელი ხარჯების დაფინანსება განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

---

[2] სამთავრობო პროგრამა 2025-2028 – „მხოლოდ მშვიდობით ღირსებით კეთილდღეობით ევროპისკენ"; ნოემბერი, 2024 წელი; ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/90372_90372_536784_372256.pdf.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი კანონის პროექტით ცვლილებები ხორციელდება საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა გაძევების პროცედურებთან დაკავშირებით, რაც გამოიწვევს, ცალკეული სახელმწიფო ორგანოების ადმინისტრაციული, ასევე ფინანსური რესურსების გაზრდას.

წარმოდგენილი ცვლილებებით, უცხოელს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაენიშნოს სასჯელის ახალი სახე – საქართველოდან გაძევება და განსაზღვრული ვადით საქართველოში შემოსვლის აკრძალვა. დასახელებულ სასჯელს შეუფარდებს სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე, რისთვისაც დამატებითი ადამიანური რესურსი გამოყოფა არ არის საჭირო. საგულისხმოა, რომ დასახელებული სასჯელის აღსრულებას უზრუნველყოფს სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო, რა მიზნითაც გადაწყვეტილების მიმღები სასამართლო განაჩენის აღსრულების შესახებ განკარგულებას სასამართლოს განაჩენის ასლთან ერთად გაუგზავნის სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. სასამართლოს მიერ განაჩენის ასლის გაგზავნა დაკავშირებული იქნება ადმინისტრაციულ ხარჯთან, რაც დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან საერთო სასამართლოებისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ხოლო ხარჯის ზუსტი ოდენობა დამოკიდებული იქნება წლის განმავლობაში მსჯავრდებულ უცხოელთა რაოდენობაზე, რომელთაც სასჯელის სახით დაენიშნათ საქართველოდან გაძევება და განსაზღვრული ვადით საქართველოში შემოსვლის აკრძალვა.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, საქართველოდან გაძევების შესახებ სასჯელის აღსრულების მიზნით შესაძლებელი იქნება უცხოელის დაკავება ან/და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსება. ამასთან, პროექტით კანონის 64-ე მუხლში შედის ცვლილება, რომლის თანახმად უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების საფუძვლებს ემატება ახალი საფუძვლები. კერძოდ. უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსება შესაძლებელი იქნება, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ უცხოელი არ ითანამშრომლებს სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოსთან.

წარმოდგენილი ცვლილებები, გამოიწვევს ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, უცხოელის დროებითი მოთავსების იზოლატორში ან დროებითი განთავსების ცენტრში ცხოვრებისა და შენახვის ხარჯებს. საგულისხმოა, რომ დღეის მდგომარეობით, დროებითი განთავსების ცენტრში დაკავებულის ყოველდღიური შენახვის ხარჯი არასრულწლოვნის შემთხვევაში წარმოადგენს 18.87 ლარს, სრულწლოვნის შემთხვევაში – 20.81 ლარს. ქ. თბილისის დროებითი მოთავსების მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში თითოეული დაკავებულის ყოველდღიური შენახვის ხარჯი სრულწლოვნის შემთხვევაში შეადგენს 12,61 ლარს, ხოლო არასრულწლოვნის შემთხვევაში – 13,74 ლარს. რეგიონული სამსახურების დაქვემდებარებულ დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულის ყოველდღიური შენახვის ხარჯი შეადგენს 11,23 ლარს.

დასახელებული ხარჯების ოდენობა დამოკიდებული იქნება იმ უცხოელთა ყოველწლიურ რაოდენობაზე, რომლებსაც სასჯელის სახით დაენიშნებათ საქართველოდან გაძევება და განსაზღვრული ვადით საქართველოში შემოსვლის აკრძალვა, ასევე, უცხოელის საქართველოდან გაძევებამდე დროებითი მოთავსების იზოლატორში ან დროებითი განთავსების ცენტრში ყოფნის პერიოდზე. აღნიშნული ხარჯების დაფინანსება განხორციელდება სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

გასათვალისწინებელია, ისიც, რომ კანონის მოქმედი რედაქციით უცხოელს გაძევების გადაწყვეტილების მიღებისას განესაზღვრება საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადა – 10-დან 30 კალენდარულ დღემდე. წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, ერთი მხრივ, განსხვავებულად დგინდება დასახელებული ვადა – 7-დან 30 კალენდარულ დღემდე, ხოლო მეორე მხრივ, უცხოელს მხოლოდ მისი მოთხოვნის შემთხვევაში განესაზღვრება საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადა. საგულისხმოა, რომ თუ უცხოელი იმყოფება დროებითი მოთავსების იზოლატორში ან დროებითი განთავსების ცენტრში, იგი საქართველოდან გასვლამდე რჩება იზოლატორში ან ცენტრში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადა უცხოელს შეიძლება განესაზღვროს მინიმუმ 7 კალენდარული დღე, ნაცვლად 10 კალენდარული დღისა. შესაბამისად, თუ უცხოელი იმყოფება დროებითი მოთავსების იზოლატორში ან დროებითი განთავსების ცენტრში, საქართველოს ნებაყოფლობით დატოვებამდე უცხოელის იზოლატორში ან ცენტრში შენახვის ხარჯები შემცირდება. გასათვალისწინებელია, რომ ფინანსური გავლენა დამოკიდებული იქნება იმ უცხოელთა რაოდენობაზე, რომლებსაც გაძევების გადაწყვეტილებით განესაზღვრებათ საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადა და რომლებიც საქართველოს დატოვებამდე იქნებიან დროებითი მოთავსების იზოლატორში ან დროებითი განთავსების ცენტრში.

ამასთან, სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო უცხოელის გაძევების აღსრულების უზრუნველსაყოფად შესაბამის პროცედურებს იწყებს სასჯელის მოხდამდე ან ნებისმიერი სხვა საფუძვლით გათავისუფლებამდე 3 თვით ადრე, აღნიშნული ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს შესაბამისი პენიტენციური დაწესებულება. დასახელებული უფლებამოსილების პენიტენციური დაწესებულების მიერ განხორციელება არ გამოიწვევს დამატებითი ფინანსური ხარჯების გამოყოფას და აუცილებელი ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება მოხდება არსებული ასიგნებების ფარგლებში.

წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებით განისაზღვრება საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელის ფოტოგადაღების, ხელის თითის და ხელისგულის ანაბეჭდის აღება. იმის გათვალისწინებით, რომ რიგ შემთხვევებში სამინისტრო უზრუნველყოფს ცალკეულ პირთა, ფოტოგადაღებას და დაქტილოსკოპიური მონაცემების აღებას, უცხოელთა მიმართ ზემოაღნიშნული მონაცემების შეგროვება განხორციელდება არსებული ტექნიკური და ადამიანური რესურსების გამოყენებით, ხოლო ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. ხარჯის ზუსტი ოდენობა დამოკიდებული იქნება იმ უცხოელთა ყოველწლიურ რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც კანონის ამოქმედების შემდეგ განხორციელდება ფოტოგადაღება, ხელის თითის და ხელისგულის ანაბეჭდის აღება.

წარმოდგენილი კანონის პროექტით, გაძევების გადაწყვეტილებით უცხოელს მხოლოდ მისი მოთხოვნის შემთხვევაში განესაზღვრება საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადა. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც თუ არსებობს უცხოელის მიმალვის რისკი, უცხოელს შეიძლება შეუმცირდეს საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადა ან/და გაძევების თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული ბრძანება აღსრულდეს დაუყოვნებლივ.

საგულისხმოა, რომ პროექტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადის შემცირების ან/და გაძევების თაობაზე სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, ასევე, სასამართლოს წარედგინება შუამდგომლობა იმ უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების მოთხოვნით, რომელიც გაძევების საკითხის განხილვისას ან/და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მოითხოვს საერთაშორისო დაცვას.

ზემოაღნიშნული მიზნით, სამინისტრო შუამდგომლობის წარდგენას, ხოლო სასამართლო საქმის განხილვას უზრუნველყოფენ არსებული რესურსით, რაც ადამიანური რესურსის დამატებას არ საჭიროებს, ხოლო აუცილებელი ადმინისტრაციული ხარჯი დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროსთვის, ასევე საერთო სასამართლოსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. დასახელებული ხარჯის ზუსტი ოდენობა დამოკიდებული იქნება გაძევებას დაქვემდებარებულ იმ უცხოელთა რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც წარმოიშობა საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადის შემცირების ან/და გაძევების თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული ბრძანების დაუყოვნებლივ აღსრულების საფუძველი. ასევე, ხარჯის ზუსტი ოდენობა დამოკიდებული იქნება იმ თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობაზე, რომელთა დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების შუამდგომლობით სამინისტრო სასამართლოს მიმართავს კანონის XI[1] თავით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ხაზგასასმელია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის არ გაიწევა ხარჯი, რადგან წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით უცხოელის საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადის შემცირების ან/და გაძევების თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული ბრძანების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე მიღებული მოსამართლის ბრძანება საბოლოოა და არ საჩივრდება. რაც შეეხება თავშესაფრის მაძიებლის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების შესახებ რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას, აღნიშნულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის განხილვისთვის აუცილებელი ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან საერთო სასამართლოსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დასახელებულ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო, ადმინისტრაციული ხარჯი დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან.

ამასთან, წარმოდგენილი პროექტით, სამინისტროში იწარმოებს იმ უცხოელების მონაცემთა ბაზა, რომლებიც კანონიერი საფუძვლის გარეშე იმყოფებიან ან იმყოფებოდნენ საქართველოში. დასახელებულ მონაცემთა ბაზის შექმნის, ბაზის წარმოების, დამუშავების, მონაცემების გაცვლის წესს

განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ამ კანონის ამოქმედების შემდეგ. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ბაზის ადმინისტრირებას სამინისტრო განახორციელებს, მისი ფორმირებისა და ფუნქციონირებისთვის აუცილებელი, მატერიალური და ტექნიკური ხარჯების დაფინანსება მოხდება სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში, ასევე ბაზის ადმინისტრირება განხორციელდება არსებული რესურსების გამოყენებით, ხოლო ყველა სხვა ადმინისტრაციული ხარჯი, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ მონაცემთა ბაზის შექმნის, ბაზის წარმოების, დამუშავების, მონაცემების გაცვლის წესის განსაზღვრისთვის საჭირო ადმინისტრაციული ხარჯი დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

წარმოდგენილი კანონის პროექტით, განისაზღვრება უცხოელთან კომუნიკაციის და მისთვის სამინისტროს გადაწყვეტილების ჩაბარების წესი, კერძოდ, სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ კანონის საფუძველზე მიღებული ნებისმიერი შეტყობინება ან/და გადაწყვეტილება გამოქვეყნდება სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებით. საგულისხმოა, რომ ამჟამად სამინისტრო ცალკეული გადაწყვეტილების გამოქვეყნებას უზრუნველყოფს ვებგვერდზე განთავსებით. შესაბამისად, უცხოელთან კომუნიკაციის და მისთვის სამინისტროს გადაწყვეტილების ჩაბარების პროექტით გათვალისწინებული ახალი წესისთვის აუცილებელი მატერიალური ბაზის შექმნა არ არის საჭირო და ვებგვერდის ადმინისტრირება განხორციელდება არსებული რესურსების გამოყენებით, ხოლო ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთვის აუცილებელი ადმინისტრაციული ხარჯი დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

წარმოდგენილი პროექტით, უცხოელს მის მიმართ სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ასევე შეტყობინება ან ინფორმაცია სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ განემარტება მისთვის გასაგებ ენაზე, ან იმ ენაზე, რომელიც შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს, რომ უცხოელს ესმის. აღნიშნულის შესაბამისად უცხოელისთვის გასაგებ ენაზე დოკუმენტების თარგმნისთვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება განხორციელდება სამინისტროს ბიუჯეტის ასიგნებებიდან.

წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილი იქნება უცხოელის საქართველოდან გაძევების მექანიზმების გამარტივება და დახვეწა. აღნიშნულმა ცვლილებამ, შესაძლოა გაზარდოს უცხოელის გაძევების საქმის განხილვისა და გაძევების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების რაოდენობა, რაც გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რადგან უცხოელის გაძევებისთვის აუცილებელ ხარჯებს, მათ შორის, გამგზავრების ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ უცხოელი ნებაყოფლობით ტოვებს საქართველოს. აღნიშნული ხარჯების ოდენობა დამოკიდებული იქნება იმ უცხოელთა რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც გამოტანილი იქნება გაძევების შესახებ გადაწყვეტილება, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეულ ქვეყანაში გამგზავრების ხარჯი სხვადასხვაა, დასახელებული ხარჯი განისაზღვრება გამგზავრების მარშრუტის შესაბამისად. აღნიშნული ხარჯების დაფინანსება მოხდება სამინისტროს ასიგნებებიდან. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი ნებაყოფლობით არ დატოვებს საქართველოს, მის მიერ წარდგენილი კანონის 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარანტია გამოიყენება უცხოელის

საქართველოდან გაძევებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც შეამცირებს სამინისტროს ასიგნებებიდან გამოყოფილ უცხოელის გამგზავრების ხარჯებს.

გასათვალისწინებელია, რომ უცხოელის გაძევების საქმის განხილვისა და მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას სამინისტრო უზრუნველყოფს არსებული საკადრო რესურსების გამოყენებით და დამატებით თანამშრომელთა გამოყოფა არ არის აუცილებელი, ხოლო ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება განხორციელდება სამინისტროს ასიგნებებიდან.

საგულისხმოა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა 2025 წლის 1 სექტემბრამდე უნდა უზრუნველყოს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა და სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა. ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების მიღება და წარმოდგენილ საკანონმდებლო ცვლილებებთან ცალკეული სამართლებრივი აქტების შესაბამისობის უზრუნველყოფა დაკავშირებული იქნება ადმინისტრაციულ ხარჯებთან, ხოლო ხარჯების დაფინანსება განხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:
კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:
საგულისხმოა, რომ უცხოელის გაძევებისთვის აუცილებელ ხარჯებს, მათ შორის, გამგზავრების ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო. იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი მოითხოვს და უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქართველოდან გაძევების გადაწყვეტილებით განესაზღვრება საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადა, მაშინ უცხოელმა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გაღების გარეშე უნდა დატოვოს საქართველო.

წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილი იქნება უცხოელის საქართველოდან გაძევების მექანიზმების გამარტივება და დახვეწა. მოცემული ცვლილების საფუძველზე, შესაძლოა გაიზარდოს გაძევების გადაწყვეტილებების განხილვისა და მათი აღსრულების რაოდენობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ცვლილებები გავლენას მოახდენს საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი იმ უცხოელების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც ამ კანონის ამოქმედების შემდეგ მიღებული იქნება საქართველოდან გაძევების შესახებ გადაწყვეტილება და რომლებიც მოითხოვენ საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადის განსაზღვრას. დასახელებულ პირებს მოუწევთ საკუთარი ფინანსური სახსრებით დაფარონ საქართველოდან გამგზავრების ხარჯები, რომელთა ზუსტი ოდენობა

დამოკიდებული იქნება ტრანსპორტირების მარშრუტზე, მათ შორის, გამგზავრების (მაგ.: ავიაბილეთის) ფასზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) შემოღებას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:
წარმოდგენილი კანონის პროექტით, კანონს ემატება ახალი, 53[1] მუხლი და განისაზღვრება, საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელის ფოტოგადაღების, ხელის თითის და ხელისგულის ანაბეჭდის აღება. ცვლილების თანახმად, გაძევების საკითხის განხილვის ადმინისტრაციული წარმოებისას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო აიღებს 14 წლის ან მეტი ასაკის უცხოელის ფოტოს, ხელის თითისა და ხელისგულის ანაბეჭდებს. 14 წლამდე ასაკის უცხოელის ფოტოს გადაღება, ასევე, ხელის თითისა და ხელისგულის ანაბეჭდების აღება დასაშვები იქნება იმ შემთხვევაში, თუ პირის იდენტიფიცირება ან ვინაობის გადამოწმება სხვაგვარად შეუძლებელია, რა დროსაც მხედველობაში მიიღება აღნიშნული პირის უფლებები და საუკეთესო ინტერესები. სწორედ ამიტომ, აღნიშნული ცვლილება გავლენას მოახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

აღსანიშნავია, რომ უცხოელისთვის ფოტოგადაღება და ხელის თითისა და ხელისგულის ანაბეჭდების აღება ემსახურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. კერძოდ, საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების იდენტიფიცირების გამარტივებას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს უკანონო მიგრაციასთან ბრძოლას.

საგულისხმოა, რომ წარმოდგენილი კანონის პროექტი ითვალისწინებს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვან სამართლებრივ გარანტიებს, რადგან უცხოელის ფოტოგადაღება და დაქტილოსკოპიური მონაცემების აღებისას, ასევე მიღებული მონაცემების დამუშავება განხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამასთან, 14 წლამდე ასაკის უცხოელის ფოტოს გადაღება, ასევე, ხელის თითისა და ხელისგულის ანაბეჭდების აღება დასაშვები იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირის იდენტიფიცირება ან ვინაობის გადამოწმება სხვაგვარად შეუძლებელია. პროექტის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება აღნიშნული პირის უფლებები და საუკეთესო ინტერესები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კანონპროექტი გავლენას მოახდენს დასახელებული არასრულწლოვნების უფლებრივ მდგომარეობაზე, თუმცა პროექტი ითვალისწინებს მათი უფლებების დაცვის მნიშვნელოვან სამართლებრივ გარანტიებს.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:
კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს. კანონპროექტი ეხმიანება 2008 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/115/EC დირექტივას „საერთო სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ წევრ სახელმწიფოებში არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქეების დაბრუნებასთან დაკავშირებით“.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს. კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მომზადებისას გათვალისწინებულ იქნა 2008 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/115/EC დირექტივა „საერთო სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ წევრ სახელმწიფოებში არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქეების დაბრუნებასთან დაკავშირებით“[3] (შემდგომ – დირექტივა), ასევე ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობა.

- **დირექტივა**[4]

დირექტივის პრეამბულის მე-10 პუნქტის თანახმად, თუ არ არსებობს მიზეზი, რომ დაბრუნების პროცედურას მიადგება ზიანი, ნებაყოფლობით დაბრუნებას იძულებით დაბრუნებასთან შედარებით უნდა მიენიჭოს უპირატესობა და უნდა განისაზღვროს ნებაყოფლობითი დაბრუნების ვადა. ცალკეულ შემთხვევებში, გარემოებების გათვალისწინებით დასაშვები უნდა იყოს ამ ვადის გაგრძელება. ამასთან, დირექტივის მე-7 მუხლის თანახმად, დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის ნებაყოფლობით დატოვებისთვის შესაბამის პერიოდს 7-დან 30 დღემდე. ამასთან, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრონ, რომ დასახელებული პერიოდი მხოლოდ მესამე ქვეყნის მოქალაქის განაცხადის საფუძველზე მიეცეს და ამ შესაძლებლობის შესახებ წევრმა სახელმწიფომ მესამე ქვეყნის მოქალაქეს უნდა აცნობოს.

ნებაყოფლობით დატოვებისთვის განსაზღვრული დროის პერიოდი არ გამორიცხავს მესამე ქვეყნის მოქალაქის მიერ ქვეყნის ადრე დატოვებას.

მიმალვის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ქვეყნის ნებაყოფლობითი დატოვებისთვის განსაზღვრულ პერიოდში შესაძლოა დაწესდეს ცალკეული ვალდებულებები:

- ✓ ხელისუფლების წინაშე რეგულარული ანგარიშგება;
- ✓ ადეკვატური ფინანსური გარანტიები;
- ✓ დოკუმენტების წარდგენა;
- ✓ გარკვეულ ადგილას დარჩენა.

თუ არსებობს მიმალვის რისკი ან კანონიერად დარჩენის მოთხოვნის შესახებ განაცხადი უარყოფილია, როგორც აშკარად უსაფუძვლო ან გაყალბებული, ან თუ დაინტერესებული პირი საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ და ეროვნულ უსაფრთხოებას, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ არ დააწესონ ქვეყნის ნებაყოფლობით დატოვების ვადა ან დააწესონ 7 დღეზე ნაკლები ვადა.

---

[3] ევროკავშირის აღნიშნული სამართლებრივი აქტის საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის ვალდებულება არც „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ და არც ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან არ გამომდინარეობს.

[4] 2008 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/115/EC დირექტივა „საერთო სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ წევრ სახელმწიფოებში არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქეების დაბრუნებასთან დაკავშირებით“; ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32008L0115; ბოლო ნახვა: 10.03.2025.

გასათვალისწინებელია, დირექტივის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, წევრი სახელმწიფოები მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფენ დაბრუნებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების, მისი ძირითადი ელემენტების და სამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომი გარანტიების შესახებ ინფორმაციის წერილობით ან ზეპირ თარგმანს იმ ენაზე, რომელიც ესმის მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან იმ ენაზე, რომელიც შეიძლება გონივრულად ვივარაუდოთ, რომ გასაგებია მისთვის.

- **ავსტრია**[5]

ავსტრიის კანონი იცნობს ქვეყნის დატოვების სახეებს, როგორიცაა ნებაყოფლობითი დატოვება და გაძევება. დაბრუნება შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი, თუმცა, საიმიგრაციო კომპეტენტურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს წარმოშობის ქვეყანაში გამგზავრების მონიტორინგი.

ნებაყოფლობითი გამგზავრების ვადა არის 14 დღე, რომელიც აითვლება აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილების იურიდიულად სავალდებულო გახდომის დღიდან. განსაკუთრებული საჭიროებების არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა დაწესდეს 14 დღეზე მეტი ვადა. განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ მტკიცებულება უნდა წარადგინოს და ასევე უნდა მიუთითოს გამგზავრების თარიღი.

ამასთან, ავსტრიის კანონმდებლობით ნებაყოფლობით დატოვების ვადა შესაძლოა შემცირდეს, თუ მესამე ქვეყნის მოქალაქის ყოფნა საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას ან არსებობს მიმალვის რისკი.

- **ესპანეთი**

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 89-ე მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ სასჯელის სახით 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთის დაკისრებისას სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სასჯელის მთლიანად ან ნაწილობრივ აღსრულებაზე.[6] ასეთ შემთხვევაში სასჯელის ნაწილის აღსრულება შეიცვლება მსჯავრდებულის ესპანეთის ტერიტორიიდან გაძევებით, როდესაც მსჯავრდებული მოიხდის სასჯელის მესამედს ან თუ ის პირობით გათავისუფლდება. ამასთან, ევროკავშირის მოქალაქის გაძევება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩადენილი დანაშაულის ხასიათის და სიმძიმის, მისი წარმომავლობისა და პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით, ის წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებისთვის.

იმ შემთხვევაში თუ უცხოელს სასჯელის სახით შეეფარდება ესპანეთიდან გაძევება და ეს უცხოელი არ იმყოფება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, მაშინ სასამართლოს შეუძლია დათანხმდეს, რომ გაძევების უზრუნველსაყოფად უცხოელი მოთავსდეს დაკავების ცენტრში. იმ შემთხვევაში, თუ

---

[5] Gesamte Rechtsvorschrift für Fremdenpolizeigesetz 2005, Fassung vom 04.02.2024; § 55; ხელმისაწვდომია: https://www.refworld.org/legal/legislation/natlegbod/2018/en/122558; ბოლო ნახვა: 10.03.2025.

[6] "Organic Law 10/1995, of November 23, of the Penal Code"; ხელმისაწვდომია: https://www.boe.es/buscar/act.php?id=BOE-A-1995-25444; ბოლო ნახვა: 10.03.2025.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პატიმრობის გაძევებით შეცვლის შესახებ და ეს უკანასკნელი ვერ განხორციელდა, აღსრულდება თავდაპირველად დაკისრებული სასჯელი ან, საჭიროების შემთხვევაში, განიხილება მისი აღსრულების შეჩერების შესახებ განცხადება.

- **ლატვია**

ლატვიის სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი დამატებითი სასჯელის სახედ განსაზღვრავს ლატვიის რესპუბლიკიდან დეპორტაციას[7]. ამავე კოდექსის 43-ე მუხლით სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ან პირი, რომელსაც აქვს სხვა სახელმწიფოს მუდმივი ბინადრობის ნებართვა, შეიძლება დეპორტირებულ იქნეს ლატვიის რესპუბლიკიდან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ საქმის გარემოებებისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით, დაუშვებელია მისი დარჩენა ლატვიის რესპუბლიკაში. აღნიშნული სასჯელი გამოყენება როგორც დამატებითი სასჯელი, თავისუფლების აღკვეთასთან ან ჯარიმასთან ერთად და აღსრულდება ძირითადი სასჯელის მოხდის ან პირობით გათავისუფლების შემდეგ.

ლატვიის კანონმდებლობით, უცხოელის გამგზავრების შესახებ ბრძანებით დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად დგინდება ვადა 7-დან 30 დღემდე, უცხოელს უფლება აქვს ამ ბრძანებაში მითითებულ ვადაზე ადრე შეასრულოს ვალდებულება.[8] ამასთან, იმ შემთხვევაში თუ ბინადრობის ნებართვის მოთხოვნისას უცხოელმა წარადგინა მცდარი ინფორმაცია ან ბინადრობის ნებართვის მოთხოვნა აშკარად უსაფუძვლოა, შეიძლება განისაზღვროს 7 დღეზე ნაკლები ვადა.

ლატვიის საიმიგრაციო კანონის 50[1] მუხლის თანახმად, უცხოელის გაძევების, მათ შორის, იძულებით გაძევების შესახებ ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციულ რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან 7 დღის ვადაში. სასამართლოში განცხადების შეტანა არ აჩერებს აღნიშნული გადაწყვეტილებების მოქმედებას.

ლატვიის საიმიგრაციო კანონის 48-ე ნაწილი ითვალისწინებს უცხოელისთვის გადაწყვეტილებების მისთვის გასაგებ ენაზე თარგმნის შესაძლებლობას. კერძოდ, უცხოელის მოთხოვნით შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამომტანი ორგანო უზრუნველყოფს გამგზავრების ბრძანების ან იძულებითი გაძევების შესახებ გადაწყვეტილების ძირითადი კომპონენტების (ფაქტების ცნობა, ადმინისტრაციული აქტის საფუძველი, ადრესატისთვის დაკისრებული სამართლებრივი ვალდებულება, მითითება, სად და რა ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ეს ადმინისტრაციული აქტი) თარგმანს. შესაბამისმა ორგანომ უცხოელს უნდა მიაწოდოს ზეპირი ან წერილობითი თარგმანი იმ ენაზე, რომელიც მას ესმის ან იმ ენაზე, რომელიც შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს, რომ მას ესმის. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თარჯიმნის მომსახურება.

- **ესტონეთი**

---

[7] "The Criminal Law"; ხელმისაწვდომია: https://likumi.lv/ta/en/en/id/88966; ბოლო ნახვა: 10.03.2025.

[8] "Immigration Law"; Section 43; ხელმისაწვდომია: https://likumi.lv/ta/id/68522-imigracijas-likumshttps://likumi.lv/ta/en/en/id/88966; ბოლო ნახვა: 10.03.2025.

ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, თუ უცხოელი მსჯავრდებულია განზრახ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, სასამართლოს შეუძლია დამატებითი სასჯელის სახით დაუწესოს გაძევება, ქვეყანაში ათ წლამდე ვადით შესვლის აკრძალვით.[9] თუ დამნაშავის მეუღლე ან არასრულწლოვანი შვილი კანონიერი საფუძვლით ცხოვრობს ესტონეთში, სასამართლო განჩინებაში ასახელებს გაძევების დაკისრების მიზეზებს.

გაძევება არ შეიძლება დაეკისროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იყო 18 წელზე ნაკლები ასაკის.

- **ECHR**

K.F. კვიპროსის წინააღმდეგ საქმეზე[10] მიღებულ გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული კანონმდებლობით განმცხადებელს აღარ ჰქონდა ქვეყანაში (კვიპროსში) დარჩენის უფლება. მართალია, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებაზე საჩივარი უზენაეს სასამართლოს ჯერ არ ჰქონდა განხილული, თუმცა საჩივარი ავტომატურად არ აჩერებდა გადაწყვეტილების აღსრულებას. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის დაკავებას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად და ხელისუფლება იცავდა მის დებულებებს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.

---

[9] Penal Code; ხელმისაწვდომია: https://www.riigiteataja.ee/en/eli/522012015002/consolide; ბოლო ნახვა: 10.03.2025.

[10] CASE OF K.F. v. CYPRUS (Application no. 41858/10); STRASBOURG; 21 July 2015; ხელმისაწვდომია: https://hudoc.echr.coe.int/#{%22fulltext%22:[%2241858/10%22],%22documentcollectionid2%22:[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22],%22itemid%22:[%22001-156263%22]}; ბოლო ნახვა: 10.03.2025.